

კოლეჯების ბრენდირების წესი (საპილოტე)

მუხლი 1. ბრენდირების მიზანი

1. ბრენდირების მიზანია კოლეჯებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა და მათი წახალისება სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით.
2. ბრენდირების პროცესი ხელს უწყობს კოლეჯების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების დანერგვას, მასწავლებელთა კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას, კოლეჯების აქტიურად ჩართვას საზოგადოებრივ აქტივობებში, რაც საბოლოო ჯამში, პროფესიული განათლების პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

მუხლი 2. ბრენდირებაში მონაწილეობის უფლება

1. ბრენდირებაში მონაწილეობის უფლება აქვს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც თვითშეფასების ვადის წარმოდგენის დღისათვის არ გააჩნია ფინანსური დავალიანება ასოციაციის მიმართ.
2. ბრენდირებაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

მუხლი 3. ბრენდირების პერიოდი და ვადები

1. ბრენდირების შესახებ გადაწყვეტილება ერთწლიანია და მოქმედებს ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. ბრენდირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული პერიოდის წინა კალენდარული წლის მონაცემებზე დაყრდნობით, აქტიური პროფესიული სტუდენტების მონაცემთა გათვალისწინებით და იმ ფართისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, რაც დაწესებულების მიერ ნაჩვენებია ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშში.
3. ბრენდირებაში მონაწილეობის შესახებ განაცხადის შეტანა ხდება ყოველწლიურად, 1 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით.
4. ბრენდირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება არაუგვიანეს 25 თებერვლისა.

მუხლი 4. ბრენდირების საფასური

ბრენდირების საფასური განისაზღვრება ასოციაციის გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. ბრენდირების ეტაპები

1. პრეტენდენტის მიერ განაცხადის შეტანა;
2. ბრენდირების კომისიის შექმნა;
3. ბრენდირების სხდომის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება;
4. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯში ვიზიტის განხორციელება;

5. ბრენდირების შედეგების გასაჯაროება.

მუხლი 6. პრეტენდენტის მიერ განაცხადის შეტანა

1. განაცხადის შეტანა ხდება მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში;
2. ბრენდირებაში მონაწილეობისათვის სასწავლებელი წარადგენს ყოველი ფილიალისათვის ცალკე განაცხადს;
3. განაცხადს უნდა დაერთოს:
 - ა) ბრენდირების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ბ) თვითშეფასების კითხვარი (დანართი 1);
 - გ) მტკიცებულებები თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის დასადასტურებლად:
 - დასკანერებული დოკუმენტაცია (ბრძანებები, სერტიფიკატები, ცნობები, შესყიდვის აქტები, ნაშრომები, ოქმები და სხვა);
 - ფოტომასალა (შენობის, აღჭურვილობის, ინვენტარი, ღონისძიებები და სხვა);
 - ინტერნეტ რესურსების ბმულები;
 - სხვა სახის ინფორმაცია პრეტენდენტის გადაწყვეტილებით;
4. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს მატერიალური სახით (ფოსტით ან პირადად) ან ელექტრონული სახით ასოციაციის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე;
5. ვადების დარღვევით წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.

მუხლი 8. ბრენდირების სხდომის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება;

1. ბრენდირების პილოტირების პროცესში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა ასოციაციის გამგეობა (შემდგომში კომისია);
2. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა;
3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის გზით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით;
4. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
5. ასოციაცია უზრუნველყოფს კომისიის სხდომების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
6. კომისია პრეტენდენტის თვითშეფასების კითხვარის და მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე ახორციელებს ქულების რაოდენობის დადასტურებას ან კორექტირებას.
7. კომისიის სხდომა საჯაროა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ინტერნეტით, კომისიის სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.
8. კომისიის სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ პრეტენდენტი დაწესებულების წარმომადგენლებს ეცნობებათ ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით.
9. კომისიისათვის საკითხის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია პრეტენდენტი დაწესებულების უფლებამოსილ პირს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში- ასოციაციის გამგეობის წარმომადგენელს;
10. საკითხის განხილვის გადავადება პრეტენდენტის მიზეზით დაუშვებელია;

მუხლი 9. კომისიის გადაწყვეტილებები

1. კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეილება:
 - ა) პრეტენდენტისათვის ვარსკვლავების მინიჭების შესახებ;
 - ბ) პრეტენდენტისათვის ბრენდირებაზე უარის თქმის შესახებ;
 - გ) დაწესებულებაში ვიზიტის და მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის შესახებ.

მუხლი 10. პრეტენდენტისათვის ვარსკვლავების მინიჭება

1. პრეტენდენტს ვარსკვლავები ენიჭება დადასტურებული ქულების რაოდენობის შესაბამისად.
2. თვითშეფასების კითხვარი მოიცავს 4 კრიტერიუმს, თითოეული კრიტერიუმი დაყოფილია ქვეკრიტერიუმებად. ყოველ კრიტერიუმს განსაზღვრული აქვს ქულათა მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ვერ დააგროვებს რომელიმე კრიტერიუმის ქულათა მინიმალურ რაოდენობას, მას ამ კრიტერიუმისთვის განკუთვნილი ქულები არ ჩაეთვლება ჯამურ ქულაში.
3. ბრენდირება ხორციელდება ხუთვარსკვლავიანი სისტემით;
4. ვარსკვლავის მინიჭება ხდება ჯამურ ქულათა რაოდენობის შესაბამისად, შემდეგი სქემით:

- 0-35 ქულა არცერთი ვარსკვლავი
- 36-45 ქულა ★
- 46-55 ქულა ★ ★
- 56-65 ქულა ★ ★ ★
- 66-75 ქულა ★ ★ ★ ★
- 75 ქულაზე მეტი ★ ★ ★ ★ ★

მუხლი 11. ბრენდირებაზე უარის თქმა

1. პრეტენდენტისათვის ბრენდირებაზე უარის თქმის საფუძველია:
 - ა) მტკიცებულებათა გაყალბება;
 - ბ) განაცხადის არასრულყოფილად წარმოდგენა;
 - დ) ვიზიტის განხორციელებაზე უარის თქმა ან მისი მიმდინარეობის ხელის შეშლა;

მუხლი 12. კოლეჯში ვიზიტის განხორციელება

1. ვიზიტის ორგანიზებას ახორციელებს ასოციაციის გამგეობა;
2. ვიზიტის მიზანია წარმოდგენილ მტკიცებულებათა დამატებითი გადამოწმება/ მტკიცებულებათა გამყარება;
3. ვიზიტს ახორციელებს ასოციაციის მიერ დანიშნული ექსპერტ(ებ)ი, რომლის/რომელთა ვინაობა და ვიზიტის ვადები თანხმდება კოლეჯთან;
4. ვიზიტის შედეგების შესახებ ექსპერტები აფორმებენ წერილობით ანგარიშს და წარუდგენენ ასოციაციის გამგეობას;
5. ვიზიტის შედეგების გათავლისწინებით კომისია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას;
6. განმეორებითი ვიზიტის განხორციელება დაუშვებელია.
7. კოლეჯში ვიზიტის განხორციელების საჭიროების შემთხვევაში მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთი თვით.

მუხლი 12. ბრენდირების შედეგების გასაჩივრება

1. პრეტენდენტს აქვს კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება;
2. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ასოციაციის სააპელაციო კომისიაში;
3. სააპელაციო კომისია განიხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში (სააპელაციო კომისიის დებულება დამტკიცებულია 2013 წლის 13 მაისის N 8 სხდომის ოქმით)

მუხლი 13. ბრენდირების შედეგების გასაჯაროება

1. ბრენდირების შედეგები საჯაროდ ქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე;
2. შედეგების გასაჯაროების სხვა ფორმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;

მუხლი 14. ბრენდირების სერტიფიკატი და ლოგო

1. ბრენდირების სერტიფიკატს ამტკიცებს ასოციაციის გამგეობა;
 - o ბრენდირების შემდეგ კოლეჯს გადაეცემა სერტიფიკატი;
 - o სერტიფიკატს ხელს აწერენ ასოციაციის თავმჯდომარე;
 - o სერტიფიკატზე გამორჩეული ფერით დაიტანება ვარსკვლავების ის რაოდენობა, რაც მიენიჭა კოლეჯს;
 - o სერტიფიკატზე დაიტანება ბრენდირების ლოგო;
2. ბრენდირების ლოგოს ამტკიცებს ასოციაციის გამგეობა;
 - o ბრენდირების შემდეგ ლოგო გადაეცემა კოლეჯს მის მარკეტინგულ მასალებზე, ვებგვერდზე, ბროშურებზე, ბიზნესბარათებზე გამოსაყენებლად;
 - o ლოგო გამოიყენება მხოლოდ იმ ფილიალის მასალებზე, რომელიც მონაწილეობდა ბრენდირებაში და მიენიჭა ვარსკვლავები;
 - o ლოგო უნდა განთავსდეს ისეთ მასალაზე, რომ ამ მასალის ფონმა არ დაფაროს გააქტიურებული (ოქროსფერი) და არააქტიური (ნაცრისფერი) ვარსკვლავები;
 - o დაუშვებელია ლოგოს გამოყენება მუხლი 3 პუნქტი 1-ის ვადების დარღვევით;
 - o კოლეჯების მიერ ლოგოს რედაქტირება დაუშვებელია;
 - o ოფიციალური გასაჯაროებამდე დაუშვებელია ბრენდირების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ლოგოს თვითნებურად გამოყენება;
 - o ამ პუნქტის შეუსრულებლობა გამოწვევს ბრენდირების შედეგების გაუქმებას.